ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5018211

ნომერი: AR1754843

თარიღი : 18.06.2020

გაცემის თარიღი : 09.07.2020

გაცნობის თარიღი : 09.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 44 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 46 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 26 ; ქალაქი თბილისი , მირზა შაფის ქუჩის ბოლოში ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 38 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი ვაზახის , N 20 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 48 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 16 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 34 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 24 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 34ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 40 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 28 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 32 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 38 "ა" ; ქალაქი თბილისი , მირზა- შაფის ქუჩა , N 26-ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 24 , მიმდებარედ (ნაკვეთი 018/041); ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 32- ის მიმდებარედ , (ნაკვ.18/042) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 46 , მიმდებარედ (ნაკვეთი 018/043); ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 44-48 , მიმდებარედ (ნაკვეთი 18/044); ქალაქი თბილისი , მირზა- შაფის ქუჩა , N38ა-ს მიმდებარედ , (ნაკვეთი 18/045) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 16 , მიმდებარედ (ნაკვეთი 18/046); ქალაქი თბილისი , ქუჩა ბააზოვი (ყოფილი შუშინის ქუჩა), N 21 , (ნაკვეთი N18/50) ; ქალაქი თბილისი , მირზა შაფის ქუჩა N26ა-სა და ბააზოვის ქუჩა N21-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 18/053); ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , მიმდებარედ (ნაკვეთი 18/054); ქალაქი თბილისი , ქუჩა ბააზოვი , N 21 , მიმდებარედ , ნაკვეთი 18/060 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბააზოვი , (ყოფ. შუშინი) , N 23 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბააზოვი , N 23 , მიმდებარედ , ნაკვეთი 18/061 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოტანიკური , N 1 , (ბოტანიკური ბაღი);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 18 ივნისს №AR1754843 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებით შეთანხმდა №01.18.04.018.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 12 მაისიდან 2020 წლის 12 მაისის ჩათვლით.

სამსახურის 2020 წლის 24 მარტის №4912029 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 12 მაისის ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ საცხოვრებელ ფართობად 5331.0 კვ.მ-ის ნაცვლად 5828.00 კვ.მ-ის დაფიქსირებას, საოფისე ფართობად 242.1 კვ.მ-ის ნაცვლად 242.2 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 2208.39 კვ.მ-ის ნაცვლად 2206.20 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 4500.11 კვ.მ-ის ნაცვლად 3186.64 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 4290.59 კვ.მ-ის ნაცვლად 4243.80 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 766.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1011.60 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 6329.38 კვ.მ-ის ნაცვლად 6185.50 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 4258.35 კვ.მ-ის ნაცვლად 4258.4 კვ.მ-ის, სასტუმროს ნომრების ფართობად 3173.17 კვ.მ-ის ნაცვლად 3173.5 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 31099.89 კვ.მ-ის ნაცვლად 30335.84 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა წარმოდგენილ გეგმა ნახაზებს და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებაში საცხოვრებელი ფართობი უნდა იყოს 5828.0 კვ.მ., საოფისე ფართობი - 242.2 კვ.მ., კომერციული ფართობი - 2206.20 კვ.მ., საზაფხულო ფართობი - 3186.64 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 4243.80 კვ.მ., სასაწყობე ფართობი - 1011.60 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 6185.50 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი - 4258.4 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობი - 3173.5 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობი - 30335.84 კვ.მ. მასთან, გეგმარება არ იცვლება უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 5828.0 კვ.მ., საოფისე ფართობად - 242.2 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 2206.20 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 3186.64 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 4243.80 კვ.მ., სასაწყობე ფართობად - 1011.60 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 6185.50 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 4258.4 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად - 3173.5 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად - 30335.84 კვ.მ.
2. სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3256157 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.